გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 148

2022 წლის 12 აგვისტო
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.344 ფ/პ ლევან ამაშუკელისთვის პ/ნ 59001046881 პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 29 მარტს განცხადებით მომართა ფ/პ ლევან ამაშუკელმა (პ/ნ 59001046881), რომელიც ითხოვს, მის საკუთრებაში არსებული ქონების მიმდებარედ, ტროტუარიდან 1 კვ.მ ფართობის სარგებლობის უფლებით გადაცემას, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 18 ივლისის N 297-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.344 დაზუსტებული ფართობით - 1.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, დავით აღმაშენებლის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 900.00 (ცხრაასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს, მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.344 რაიმე მიზნით გამოყენება არ აქვს დაგეგმილი, ხოლო მისი აღნაგობის ფორმით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.344, 1,00 კვ.მ. ფართობის, პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და აღნაგობის საზღაურის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.344 ფართობით 1,00 კვ.მ. (მდებარე გორში, დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ) გადასცეს ფ/პ ლევან ამაშუკელს (პ/ნ 59001046881) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, კიბის უჯრედის მოსაწყობად.

2. საწყისი საპრივატიზებო ფასი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ 66.45.21.344) ფართობით 1,00 კვ.მ. განისაზღვროს 900 (ცხრაასი) ლარით.

3. აღნაგობის საზღაურის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 240 (ორასორმოცი) ლარით.

4.აღნაგობის უფლების მქონეს, ს/კ 66.45.21.344 მიწის ნაკვეთი გადაეცემა კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

5. ქონება, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, გაცემული იქნეს 10 (ათი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე